

ნინო პოპიაშვილი (საქართველო)

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ტიპოლოგიური მოდელის განსაზღვრისათვის

ჰაგიოგრაფია ნამებულ გმირთა ცხოვრების ასახვაა, ჰაგიოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს შეისწავლის, აკვირდება ჰაგიოგრაფიის მოდელებსა და პარადიგმებს, სიმბოლოებს, პერსონაჟის ასახვის თავისებურებებს. ჰაგიოლოგიურ კვლევებში ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებთან ერთად მოიაზრება ეპოქალური, ისტორიული, სოციალური, კულტუროლოგიური, რელიგიური და სხვა მომიჯნავე დარგების – გვიანანტიკური, ადრეული შუასაუკუნეების, ადრეული ქრისტიანობისა და ქრისტიანობის, რელიგიათმცოდნეობის კვლევები.

ჰაგიოგრაფია ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. ἁγιος – „წმინდანი“ და γράφω – „ვწერ“) და წმინდანთა ცხოვრების აღწერას ნიშნავს. მიღებულია ტერმინის ორგვარი გაგება: ზოგადქრისტიანული მნიშვნელობით და ლიტერატურათმცოდნეობითი მნიშვნელობით. ადრეული შუასაუკუნეების კვლევებსა და კლასიკურ რელიგიათმცოდნეობაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ წმინდა, წმინდანი, ისევე როგორც მონაშენი, მიმბაძველი, მონაშენი, ყველა რელიგიის მთავარი მახასიათებელია. შესაბამისად, ჰაგიოგრაფია განისაზღვრება, როგორც წმინდანთა მოსახსენიებელი, წმინდანებისადმი მიძღვნილი, წმინდანების ცხოვრებისა და ცხოვრების კონკრეტული მონაკვეთის აღწერის შემცველი თხზულება; სასწაულების ამსახველი ტექსტები, ლეგენდები და გადმოცემები, მოკლე და ვრცელი ისტორიები და ამბები (დეტალურად იხ.: Ahmer 1994; Raspe 2006: 27-28).

ჰაგიოგრაფიის, როგორც ჟანრის საწყისებს ვხედავთ ძველი აღთქმის (ებრ. תנ"ך), თანახმად ნიგნებში, კერძოდ, მის მესამე ნაწილში – ქეთუბიმ, წმინდა წერილები, ძველქართულად – წერილნი. მას ასევე უწოდებენ მამათა სხვა ნიგნებს, ან სხვა წერილებს, დანარჩენ ნიგნებს, რომელთა საერთო ნიშნით დაჯგუფება ვერ ხერხდება.

ჰაგიოგრაფიის ჩამოყალიბებაში წვლილი მიუძღვის ანტიკური პერიოდის ბერძნულ რომანს, როგორც ლიტერატურულ არქექტიპს. მიუხედავად

1 თანახ – თნხ – წარმოადგენს ებრაულ აბრევიატურას და შედგება სამი ნაწილისაგან: თანახ – თორა – რჯული, ნებიმ – წინასწარმეტყველნი, ქეთუბიმ – ხერთუბიმ – წერილნი. რჯული ხუთნიგნეულია, მას უწოდებენ მოსეს ხუთნიგნეულსაც. წინასწარმეტყველნი შეიცავს 22 ნიგნს, ხოლო წერილნი – 13: იობი, რუთი, ფსალმუნნი, იგავნი, ქებათა-ქება, ეკლესიასტე, დანიელი, იერემიას გოდება, ეზრა და ნემია, პირველი და მეორე ნეშტთა, ესთერი (რელიგიები, 2008).

იმისა, რომ პირველი ჰაგიოგრაფიული თხზულებები წმინდანთა, მოწამეთა ცხოვრებისა და მათი მენამეობრივი აღსასრულის მოკლე თხრობა იყო, ანტიკური რომანის, როგორც პროზაული თხრობის ლიტერატურულ ტრადიციას, ქრისტიანული ლიტერატურის, განსაკუთრებით, ჰაგიოგრაფიული ჟანრის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჰაგიოგრაფიის, როგორც ჟანრის წარმოშობა და ძირითადი განვითარება კი ქრისტიანობის ადრეული ხანებიდან იწყება და შუასაუკუნეების ბოლომდე მიმდინარეობს. ჰაგიოგრაფიის თეორიული საფუძველი სახარებისეული პარადიგმაა. იესო ქრისტეს ცხოვრება და წამება, ქრისტესა და მისი მოწაფეების ცხოვრების ცალკეული ამბები, ქრისტეს მიმდევრების შთაგონების წყარო და ჰაგიოგრაფიული თხზულებების მთავარი გმირების ღვანლისა და მენამეობრივი აღსასრულის აღმწერთა მთავარი საფუძველი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ იუდეურსა და ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიას შორის არსებობს მრავალი განსხვავება, მათ შორის, რელიგიური, იდეოლოგიური, ისტორიული და სხვა, თანამედროვე კომპარატივისტული კვლევები და დაკვირვებები აჩვენებს, რომ ჰაგიოგრაფიული მოდელების მსგავსება ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობის შემდგომ ტექსტებში დასტურდება: „ერთი მხრივ, იუდეური და ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის საერთო ნიშნები ბიბლიური მოდელებიდან დაწყებული (მაგალითად, როგორც ელია ან მოსე და დავითი) მოსალოდნელ საერთო ნიშნებს კვლავაც ერთნაირ ხასიათებში ამჟღავნებს, რაც საშუალებას გვაძლევს იუდეურ და ქრისტიანულ წმინდანებში მზა სახეების შესახებ ვისაუბროთ. მეორე მხრივ, არცთუ ნათელი განსხვავებები მიუთითებს, რომ ლეგენდები ნამდვილად ერთმანეთის მსგავსია, ეთნიკური და თეოლოგიური მტკიცებულებები რომ გადმოგვცეს და ამდენად, საერთო სოციალური მენტალობის (და არა მხოლოდ მისი სუბსტრატების) სარკეში აღიბეჭდოს“ (Galley 2005: 47).

ჰაგიოგრაფიული ტექსტების მნიშვნელობა და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში ძალზე დიდია. გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეებში ჰაგიოგრაფია იყო ერთ-ერთი მთავარი ჟანრი, რომელშიც აისახა ისტორიული, კულტუროლოგიური, სოციალური, მხატვრული, ესთეტიკური თავისებურებები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰაგიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი პერსპექტივიდან. მისი ფილოლოგიური კვლევები მე-18 საუკუნიდან დაიწყო. ჰაგიოგრაფია ერთგვარ ლიტერატურულ უნივერსალიად არის მიჩნეული, რაც გულისხმობს, რომ ჰაგიოგრაფიული ჟანრი საერთოა ქრისტიანული მწერლობის მქონე სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურისთვის.

ქართული ჰაგიოგრაფია ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის ყველა ძირითად ტენდენციასა და მიმართულებას იცნობს და ეყრდნობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰაგიოგრაფიული ტექსტების ადრეული შუასაუკუნეების თარგმანები, რომელთა ჟანრობრივ და თემატურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე, აგიოგრაფიული ლიტერატურა გადმოუღიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, განსაკუთრებით ბერძნულიდან. მეათე საუკუნემდე მათ გადმოუღიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ „ცხოვრება-მარტვილობათა“ ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა, ესე იგი უბრალო, მარტივი ენით დაწერილნი. ამ დროს მათ გადმოუთარგმნიათ „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, სხვათა შორის, ისეთი პირებისაც, რომელნიც მოღვაწეობდნენ ბიზანტიის აღმოსავლურ საზღვრებზე, – სირიასა და დამასკო-ბადადის ხალიფატში, – რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანდა ძალიან მალე მისცემიან დავიწყებას“ (კეკელიძე 1955: 6).

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრობრივ თავისებურებებზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს „მონამეთა აქტები“, ლათ. „Acta Martyrum“, მოკლე და ვრცელი თხრობანი, რომლებსაც ქართულ ჰაგიოლოგიაში შესაძლებელია შეეფარდოს კიმენური, სვინაქსარული და მეტაფრასული რედაქციები.

კიმენი (ბერძნ. *κίμηνον*), ანუ კიმენური თხზულებები, არის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პირველი რედაქციები, წმინდანთა ცხოვრების პირველი, მოკლე, მარტივი აღწერა. ლათინურ და ბერძნულ ჰაგიოგრაფიაში, „მარტვილობათა აქტები“, ან „მონამეთა აქტები“, ლათ. „Acta Martyrum“. ტერმინი კიმენი ეგზეგეტიკაში აღნიშნავდა ბიბლიის – როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის განსამარტავ ეპიზოდებს. თავად განმარტებებს კი ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში თარგმანება ეწოდებოდა.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ტერმინი კიმენი პირველად იხმარა ეფრემ მცირემ (მე-11 საუკუნე): „ძუელი იგი მონამეთად, რომელსა „კიმენ“ უწოდიან, ესე იგი არს მდებარე“. კ. კეკელიძის შეხედულებით, კიმენი არის „ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტავი ტექსტი“ (კეკელიძე 1980) ეფრემ მცირე თარგმანზე დართულ წინასიტყვაობაში „მოსაჯსენებელი მცირე სვმეონისათვის ლოლოთეტიისა და თხრობად მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისასა“, ასე ახასიათებს კიმენურ ჰაგიოგრაფიას: „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი იყო პატიოსანთა და ღირსთა კაცთაგან, სხუებრ სიტყუათათვის არა მოღუანე ქმნილთა“ (დეტალურად იხ. კეკელიძე 1957ა: 223) ტერმინი, კიმენი, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა კ. კეკელიძემ. მან საგანგებოდ შეისწავლა კიმენური ძეგლები და გამოსცა ორ ტომად (დეტალურად იხ. კიმენი I 1918; კიმენი II 1946).

მარტვილობათა აქტები, იგივე მონამეთა აქტები, Acta martum, ისევე როგორც კიმენური ტექსტები, არის მოკლე თხრობა მონამეთა ცხოვრების გარკვეული ნაწილისა და გარდაცვალების შესახებ. მსგავსი ჩანაწერები გვიანანტიკურ ხანაში წარმოიშვა ოფიციალურად, სასამართლო კანცელარიებში, აქტების სახით. მარტვილოლოგიურ აქტებს იწერდნენ მორწმუნე თვითმხილველებიც.

მეტაფრასი (ბერძნ. Μεταφρασῖς – გადაკეთება, თარგმნა) ჰაგიოგრაფიული ჟანრის გავრცობილი ტექსტი. მეტაფრასული რედაქცია არის შესწორებული და შევსებული, გადამუშავებული ჰაგიოგრაფიული თხზულებები. ტერმინი, მეტაფრასი, გამოიყენებოდა ბიბლიური ტექსტების განსამარტად. ჰაგიოგრაფიაში კი – „მარტივლოლოგიური აქტების“, იმავე კიმენური, მოკლე, მარტივად მოთხრობილი თხზულებების ახალი, შევსებული, გადაკეთებული, გავრცობილი რედაქციის აღსანიშნავად.

მეტაფრასული რედაქციის წარმოშობა ორი მიზეზით არის განპირობებული:

- „მარტივლოლოგიური აქტების“, მოკლე თხრობის, წმინდანთა წამების ან ცხოვრების შემოკლებული რედაქციის „გაყალბება-შერყვნის“ ე. წ. აპოკრიფული ჰაგიოგრაფიის საპირისპიროდ;

- ახალი დროის ლიტერატურული ტენდენციების წარმოსაჩენად, რაც სასულიერო თხზულებების, მათ შორის, ჰაგიოგრაფიის განვითარებამ გამოიწვია.

შესაბამისად, საჭირო გახდა ძველი, მოკლე და მარტივი ამბებისა და ისტორიების კანონიკური განვრცობა. „მეათე საუკუნის გასულისათვის აგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. თანახმად განვითარებული გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნებისა, ბიზანტიაში იწყება ძველი „კიმენური“ რედაქციის ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შელამაზება. ამან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მეტაფრასულ აგიოგრაფიას. განსაკუთრებით მდიდრად შენახულა ქართულ ენაზე მეტაფრასული აგიოგრაფიის ძეგლები, რომელთა დედნები დღესდღეობით ბერძნულ ენაზე არ ჩანს“ (კეკელიძე 1955: 6).

მეტაფრასული რედაქციის დასაწყისად ითვლება მე-10 საუკუნეში სვიმეონ ლოლოთეტის, იგივე მეტაფრასის, მიერ მოკლედ მოთხრობილი „მონამეთა აქტების“ გადამუშავება. მან სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით გადაამუშავა და შექმნა საკითხავები. მე-11 საუკუნის მოღვაწემ, იოანე ქსიფილინოსმა გააგრძელა სვიმეონ ლოლოთეტის საქმიანობა და თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით გადაამუშავა „კიმენური“, ანუ „მეტაფრასულამდელი“ მოკლედ მოთხრობილი ამბები. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მეტაფრასული ჟანრის შემოტანა ექვთიმე მთაწმინდელს (955-1048) უკავშირდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული შრომები 982 წლიდან იწყება, ქართულად კი მოკლე დროში ითარგმნა. იოანე ქსიფილინოსის მიერ გადამუშავებული შვიდი თვის მეტაფრასული ნაშრომი ბერძნულ ენაზე არ არის შემორჩენილი, ხოლო ქართულად მე-12 საუკუნის ხელნაწერებში თითქმის სრულად არის დაცული.

ჰაგიოგრაფიული ჟანრის განვრცობა და განვითარება მეტაფრასულ რედაქციებში, ასევე, ე. წ. აპოკრიფულ ჰაგიოგრაფიაში, იქცა რენესანსის ჩამოყალიბების საფუძვლად. კერძოდ, ჰაგიოგრაფიული ელემენტების განვრცობა, ტრაგიზმითა და ბელეტრისტიკული ელემენტებით შექმნილი თხრო-

ბა, იდეალებისაკენ სწრაფვა, სულიერი და ფიზიკური სრულყოფილებების სურვილი, ხოლო აპოკრიფული ჰაგიოგრაფიიდან, გმირის ცხოვრების სრულყოფილად ასახვის სურვილი აისახა რენესანსულ ნაწარმოებებში.

სვინაქსარი (ბერძნ. Συναξαριον კრებული. მომდინარეობს ბერძული სიტყვისგან συναξα – ვაგროვებ, ვკრებ), კრებული, ასევე შესავალი, წინასწარი თხრობა. ღვთისმსახურების წესის, ტიპიკონის, ნაწილი, საეკლესიო ღვთისმსახურების წლიური კალენდარი. ძირითადად გამოიყენებოდა ბიზანტიასა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. სვინაქსარი არის საეკლესიო კრებულები, რომელსაც ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს კითხულობდნენ. სვინაქსარში კალენდარული თანმიმდევრობით იყო დალაგებული საკითხავი თხზულებები, რომლებშიც გადმოცემულია წმინდანთა შექება, დამსახურება, ქადაგება წმინდანთა ღვანლისა, ცხოვრებისა და მოქალაქეობის ამბავი, რასაც წმინდანთა ხსენების დღეს ეკლესიაში ღვთისმსახურების შესრულების დროს კითხულობდნენ. ჰაგიოგრაფიის სვინაქსარული რედაქცია არის წმინდანთა „წამებანი“ ან „ცხოვრებანი“, რომლებიც გადამუშავებული იყო ეკლესიაში წასაკითხად.

ქართულად სვინაქსარული რედაქციები მრავალთავებშია გაერთიანებული. თავები დალაგებულია კალენდარულად, წმინდანთა ხსენების დღეების მიხედვით. ტრადიციულად, ცალ-ცალკე იყო შედგენილი დედათა და მამათა ცხოვრებანი. დედათა ცხოვრებას **მატერიკი** ჰქვია. მამათა ცხოვრებას – **პატერიკი**. ამ ტრადიციას იცნობს ქართული მრავალთავებიც. ქართულ ჰაგიოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება დიდსა და მცირე სვინაქსარებს. მცირე სვინაქსარი, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი კრებული, ქართველი გადამწერების მიერ კონსტანტინეპოლში 1030 წელს არის გადწერილი. მცირე სვინაქსარმა ქართულ ღვთისმსახურებაში საფუძველი ჩაუყარა კონსტანტინეპოლური ტიპიკონისა და კალენდრის შემოღებას. დიდი სვინაქსარი 1042-1044 წლებში ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და ქართული მასალით შეავსო გიორგი მთაწმინდელმა.

სვინაქსარული რედაქცია წარმოადგენდა მეტაფრასული, განვრცობილი რედაქციის შემოკლებას, ღვთისმსახურებაში ჩართვის, ეკლესიაში წაკითხვის მიზნით. „სვინაქსარს ნაკლებად აინტერესებს ისტორიული ამბები, რეალურ ფაქტებს დიდ ყურადღებას არ უთმობს, უფრო ხშირად იყენებს სასწაულებს, როგორც განზოგადების ეფექტურ საშუალებას. მაგრამ არც ეს არის წესი. გააჩნია, ვინ არის გამოძკრები, ვის ცხოვრებას გამოძკრებს და რომელი ეკლესიისათვის. სვინაქსარი ვრცელ რედაქციასთან შედარებით პერიფრაზული უნდა იყოს. გაშლილი თხრობა თითო წინადადებაში უნდა ეტეოდეს. შემოკლებული ტექსტის გარეთ რჩება ავტორისეული წიაღსვლები და ბრძნადმეტყველებანი. სამაგიეროდ, აღინუსხება ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც კი გმირის ცხოვრებას უკავშირდება“ (ამირხანაშვილი 2017: 27).

ქართული ჰაგიოგრაფია ძალზე მდიდარია და ჰაგიოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ მასში მრავალი ჟანრის გამოყოფა არის შესაძლებელი.

ქრისტიანობა, რომელიც მონამისა და მოწმის ტრადიციას ქრისტეს მენამეობრივი ცხოვრების დამონებით, თანაგანცდითა და თანაზიარობით ქმნის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და ავტორია.

ჰაგიოგრაფიული ჟანრის კანონი, მოდელები და პარადიგმა რამდენიმე ძირითად ასპექტთან არის დაკავშირებული, რაც თავად ჰაგიოგრაფიის, წმინდანთა ცხოვრების აღწერის თავისებურებიდან, მოკლე, ვრცელი, ნასაკითხი და მოსასმენი რედაქციული სახეობებიდან, თვით ჰაგიოგრაფიის ფუნქციიდან, ნორმებიდან, ღირებულებებიდან გამომდინარეობს.

გვიანი ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურის თანამედროვე კვლევებში აღნიშნულია, რომ გვიანანტიკური ლიტერატურის ნამდვილი ისტორია ჯერ კიდევ არ არის დაწერილი. ამის მიზეზად, ძირითადად, ენათა, ისტორიათა და კულტურათა მრავალფეროვნება სახელდება, განსაკუთრებით კი, მეოთხე საუკუნიდან აღმოცენებული დამოუკიდებელი ნაციონალური ლიტერატურები როგორც დასავლეთით, ბრიტანეთში, გალიაში, სამხრეთით მავრიტანიასა და ეგვიპტეში, ისე აღმოსავლეთით, შავი ზღვის გარშემო, ჩრდილოეთით დუნაის, ლიმესის, რაინის საზღვრებთან. ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურის ისტორიის დაწერის სირთულეს ერთვის, აგრეთვე, ლიტერატურული ტექსტების ერთი ნაწილის ბერძნული და ლათინური ენობრივი ომის შეფერილობაც (Irmsscher 1994: 263). ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ამ აპოქის ლიტერატურის ისტორია თავისი განვითარებისა და ჟანრობრივი თავისებურებების მნიშვნელოვანი ეტაპებისაგან შედგება. შესაბამისად, მიუხედავად აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის მრავალფეროვანი ენობრივი და კულტურული შედგენილობისა, ქრისტიანული ლიტერატურის თეორიული, კომპარატივისტული და ტიპოლოგიური კვლევების პარადიგმატული სისტემა აგებულია ახალი აღთქმისა და იესო ქრისტეს ცხოვრების მოდელის მიხედვით. „თუ პარალელურად განვიხილავთ ქრისტიანულ წმინდანებს, შევამჩნევთ, რომ არსებობს ერთიანი და თანმიმდევრული პარადიგმა. ტრადიციული ჯაჭვის დასაწყისში ადრეული ქრისტიანობის მონამეების ცხოვრება შედგება ბიბლიური მონამეების, უპირველეს ყოვლისა, ნაზარეთელი იესოს მისწრაფებებისა და ბედისწერის შესაბამისად“ (Galley 2005: 35).

ჰაგიოგრაფიის, როგორც ლიტერატურული ჟანრის თხზულების ასახვის მთავარი მეთოდი არის ტიპოლოგია, როგორც აზროვნების ფორმა, რომელშიც გამთლიანებულია მიბაძვისა და ასახვის არქეტიპული მოდელები. შესაბამისად, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნები მთლიანად უკავშირდება, ერთი მხრივ, ქრისტესა და მისი მონაფეების ცხოვრებასა და მენამეობრივ აღსასრულს, მეორე მხრივ, უძველესი ქრისტიანების ცხოვრებასა და მენამეობრივ აღსასრულს, ინტერპრეტირებასა და განვრცობას. ი. ამირხანაშვილი ჰაგიოგრაფიული მოდელის არსებობას ასე ხსნის: „აგიოგრაფია არის მოდელი, წინასწარ აღებული „რალაც“, რომელიც ხორციელდება „რალაცისთვის“. უტილიტარული ფუნქცია თავიდანვე გან-

საზღვრულია. ეს არ არის თავისუფალი შემოქმედება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავისუფლების მოთხოვნილება ჩნდება იქ, სადაც არ არის თავისუფლება. აგიოგრაფიული ნაწარმოები არის პასუხი საზოგადოების მოთხოვნილებაზე. საზოგადოებას სურს ჰყავდეს „ასეთი“ გმირი. ადამიანთა ცნობიერება, გემოვნება, სოციალური და ეროვნული ინტერესები მოითხოვს ამას და მწერალი ასრულებს „დაკვეთას“ (ამირხანაშვილი 2012: 8).

ბელგიელი მეცნიერი, ქრისტიანობის ისტორიისა და ჰაგიოგრაფიის მკვლევარი, ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამომცემელი, ჰაგიოგრაფიული პრინციპების, მოდელებისა და პარადიგმების დამდგენი იპოლიტ დელიე (1859-1941) გამოყოფს ჰაგიოგრაფიის სამ ჯგუფს:

- ოფიციალური ჩანაწერები, ანგარიშები და პირდაპირი მაჩვენებლები/მტკიცებულებები;

- დოკუმენტირებულად დადასტურებული თხრობა, რომელიც ეფუძნება პირველწყაროს, ან ძალზე სანდო წყაროს;

- ჰაგიოგრაფიული ფანტაზიები, რომანები (Delehaye 1955).

პირველ ჯგუფში იგულისხმება მარტვილოლოგიური აქტები, მოკლე ჩანაწერები, გვიანანტიკური პერიოდის ტექსტები, ძირითადად, „წამებანი“, რომელიც შექმნილა პირველი საუკუნიდან მესამე-მეოთხე საუკუნემდე. მეორე ჯგუფში შედის ადრეული შუასაუკუნეების ტექსტები, „წამებანი“ და „ცხოვრებანი“. მესამე ჯგუფში კი მოიაზრება მეტაფრასული რედაქციები, განვრცობილი თხრობა.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ისევე როგორც თავად ჟანრი, პერსონაჟის ასახვის მოდელიც განსხვავდება მოკლე და ვრცელი რედაქციების მიხედვით.

პერსონაჟის ასახვის თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს პირველი პერიოდის, „მარტვილოლოგიურ აქტებში“, ქართული ჰაგიოლოგიური ტერმინოლოგიით, კიმენურ რედაქციებში დამუშავებული მოკლე მოდელი, რომელშიც გამოიყოფა შემდეგი თავისებურებები:

1. მონათვლა (წარმართი პერსონაჟი ინათლება);

2. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მონათლულ გმირისგან მოითხოვენ „ბუნებით სარწმუნეობაზე“ დაბრუნებას, ანუ ახალი სარწმუნოებიდან განდგომას;

3. მთავარი გმირი უარს ამბობს რწმენის შეცვლაზე, რაც ახალი დაპირისპირებების საფუძველი ხდება;

4. სასწაულების მოხდენა;

5. მთავარ გმირს ემუქრებიან საშინელი წამებით, მაგრამ გმირი ამჟღავნებს გასაოცარ სულიერ სიმშვიდეს, სიმტკიცეს;

6. რწმენაშეურყეველი მთავარი გმირი სიხარულით ემორჩილება მათ, როდესაც ის მიჰყავთ სიკვდილით დასასჯელად.

გარდა თვითმხილველთა ჩანაწერებისა, ადრეული ქრისტიანული მარტვილოლოგიური აქტები, ლიტერატურული თვალსაზრისით, საერთო

სქემას წარმოადგენს და შედგება საერთო სიმბოლოებისაგან. მათ შორის, პერსონაჟის ასახვის თავისებურებებთან კავშირში. სწორედ აქ იკითხება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური ჩარჩოს შემუშავების შედეგი, რომელიც ტიპური გახდა ჰაგიოგრაფისათვის. „სქემატური ფორმისადმი მიდრეკილებას აქვს დისტანციური წარმოშობა, რომლის კვალი ძველ ტექსტებში ვლინდება, მათ შორის, თხრობის, ანუ ნარაციის გულწრფელობასთან კავშირში. აღნიშნული ასახულია, მაგალითად, პოლიკარპეს მარტილობაში, რომელზე დაკვირვებაც აშკარად აჩვენებს, რომ მონამის სიკვდილი ქრისტეს სიკვდილის მიბაძვაა. მარტივობის ეს ფორმა ქრისტიანული ლიტერატურის დასაწყისშივე ვლინდება. მეოთხე საუკუნიდან გარკვეული შაბლონები ან არსებითი კრიტერიუმები დგინდება. ჰაგიოგრაფები არგებენ არსებულ ჩარჩოს ანტიკურ და ბიზანტიურ ტრადიციულ ბელეტრისტიკას“ (Campenhausen 1964).

მოკლე თხრობითი ჟანრის მარტივლოლოგიურ კრებულებში დაცულია რომაული სამართლებრივი, საგამოძიებო პროცესების ჩანაწერების სტილი. უმრავლეს შემთხვევაში მოქმედების განვითარება უკიდურესად რეალისტურია, ამიტომაც, ჰაგიოგრაფიული ტექსტის გამოყენება ისტორიული წყაროს რანგში სავსებით მართებულად ითვლება. ტექსტებში აუცილებლად მითითებულია ისტორიული თარიღები, ისტორიული პირების, მმართველების, მეფეების, რეგიონალური ხელმძღვანელების სახელები, მეფობის ან ხელმძღვანელობის წლები და სხვა. ზოგ შემთხვევაში გარკვეული თარიღები, ადგილების დასახელებანი, ან ისტორიულ პირთა სახელები სადავო ხდება სხვა წყაროებთან შედარებისას, თუმცა თავად ფაქტი, შაბლონი, დროისა და ადგილის დაზუსტება ჰაგიოგრაფიული ჟანრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამავდროულად, ადრეულ მარტივლოლოგიურ თხზულებებში აღინიშნება ბიბლიისა და სახარებისეული პარადიგმები და კონცეფციები.

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში დეტალურად არის წარმოდგენილი მთავარი გმირის ამბის, ისტორიის განვითარების სხვადასხვა ფაზა, როგორებიცაა: შეპყრობა-დაკავება, დაკითხვა, მცდელობა, გასამართლება, სიკვდილით დასჯა. ეს სქემა შენარჩუნებულია მთელი თხრობის განმავლობაში და სტრუქტურად იქცევა. ისტორიაში მთავარ პერსონაჟთან ერთად თანამონაწილეობენ ანტიგმირები: მწამებელი, მოსამართლე, რომაულ ჰაგიოგრაფიაში – მაგისტრანტი, ჯალათი. ასევე, თხრობაში მონაწილეობენ ქრისტიანი თვითმხილველები, რომლებიც ამხნევენ მთავარ გმირს და წარმართები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქრისტიანებს (Herbermann 1913).

ადრეული შუასაუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები, რომლებიც მე-4 საუკუნიდან იქმნებოდა, ასევე, მეტაფრასული რედაქციები, ავსებს ჰაგიოგრაფიულ მოდელში არსებულ თავისებურებებს და აყალიბებს ახალ პარადიგმატულ სქემებს. ბიზანტიური და ელინური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებიდან გამომდინარე, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები იქმნებოდა ბიზანტიური რომანის სქემითაც, სადაც წარმოჩენილია პერსონაჟის

ისტორია და ბედისწერა, ნაწარმოების ლირიკული ხაზი, რომელშიც ჩართულია ვნებები, მოულოდნელი შეხვედრები და განშორებანი, მონინალმდეგებთან ბრძოლა, დატყვევების ტრაგიზმი და სხვ. შესაბამისად, ბელეტრისტიკული ჟანრისათვის დამახასიათებელი ელემენტები განვითარებულ, მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიაში ახალ დანიშნულებას იძენს (დეტალურად იხ. Acts of the Martyrs 2005; Aigrain 1953).

ჰაგიოგრაფიული თხზულების სტრუქტურასა და პარადიგმებზე დაკვირვებისას შესაძლებელია ვიმსჯელოთ ტოპოსის (ბერძნ. τόπος ადგილი. ასევე, ბერძნ. τόπος κοινός, ლათ. locus communis) შესახებ. ტოპოსი განიხილება, არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ სივრცეში მომხდარი მოვლენა, არამედ, როგორც მარადიულ, საერთოჰაგიოგრაფიულ, ან, ზოგადქრისტიანულ სივრცეში მომხდარი ისტორია, რომელშიც საერთო ნიშნები გამოიყოფა. ტოპოსი რიტორიკის კანონების მიხედვით, არის საერთო ადგილი, სადაც თავმოყრილია ყველა სახე და მოტივი, ასევე, შინაარსობრივი და თემატური შედგენილობით ერთნაირი, ხოლო განვითარების თვალსაზრისით, მდგრადი ელემენტები და ფორმები, რომელიც საერთო პარადიგმას ქმნის. სერგეი ავერინცევის შეფასებით, „ტოპოსი არის „ბერძნების მიერ შექმნილი და მათი მემკვიდრეების მიერ გაზიარებული პოეტიკის „საერთო ადგილი“ – პოეტიკა, რომელიც რიტორიკის ნიშნის ქვეშ განიხილება“ (Аверинцев 1981: 8)

ტოპოსის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ჟანრის სტატიკური, უცვლელი კონცეფცია, როდესაც მსგავსი, ტიპური ნიშნები გამოიყოფა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას შექმნილ თხზულებებში. ტოპოსი, როგორც ტერმინი, შექმნა არისტოტელემ ლოგიკურ ტრაქტატში, როგორც მსგავსი ფუნქციის მქონე სტრუქტურების ერთიანი სპექტრი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებით გამოიყენება მ. ბახტინის (1895-1975) მიერ შექმნილი ტერმინი ქრონოტოპი. ამ ტერმინით აღინიშნება ნაწარმოებების დროსივრცული ერთიანობა და გამოიყოფა ჟანრული თავისებურებები. „ქრონოტოპის ცნებით ბახტინი განამტკიცებს მკვეთრად გამოხატულ დიაქრონულ თვალსაზრისს. ლიტერატურულ ტექსტსა და გარესამყაროს კავშირის დასაბუთებისას ქრონოტოპი წარმოაჩენს მკვლევრის ღრმა დაინტერესების საგანს. იგი ბახტინისათვის წარმოადგენს ერთგვარ საზომს იმისა, თუ როგორ ხორციელდება კონკრეტული ეპოქისა და კონკრეტული ჟანრის პირობებში რეალური, ანუ ისტორიული დრო-სივრცისა და ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პიროვნებების სინთეზი, აგრეთვე, მხატვრული დროის სივრცისა და პერსონაჟთა მათთან შეთავსების პროცესი. ქრონოტოპის შემადგენელი ელემენტების (დრო, სივრცე) დომინანტურობას ჟანრის თავისებურება განსაზღვრავს: მაგალითად, თუ მხატვრული ნაწარმოები მოგზაურობითი ან სათავგადასავლო ჟანრისაა, მაშინ დრო დომინირებს, ხოლო თუ ნაწარმოები იდილიურ-პასტორალური ხასიათისაა – სივრცე. მაგრამ, მიუხედავად გარდამავალი პრიორიტეტულობისა, დრო და სივრცე ერთ

კონკრეტულ მთლიანობას შეადგენს და უერთმანეთოდ არ მოიაზრებიან. დრო-სივრცესა და მათში მოქმედ ადამიანებს შორის დამოკიდებულებანი იცვლება ტექსტის ისტორიული და ლიტერატურული გარემოცვის მიხედვით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბახტინისეული ქრონოტოპი ერთდროულად ისტორიული მოვლენაცაა და ჟანრულიც“ (რატიანი 2008: 31). ბახტინის თანახმად, დროსა და სივრცესთან ერთად გამოიყოფა სუბიექტის ელემენტიც და ლიტერატურული ტექსტი ექცევა სამ განზომილებაში: სუბიექტი, დრო, სივრცე (Бахтин 1985: 121). ქრონოტოპთან კავშირში განიხილება ლიმინალურობისათვის დამახასიათებელი ალტერნატიულობა: რეალური – გამოგონილი დრო, საკუთარი, მოწესრიგებული სივრცე – სხვისი, ქაოსური სივრცე (რატიანი 2005). აღსანიშნავია ისიც, რომ ქრონოტოპის მოდელები „სასულიერო მწერლობიდან უცვლელად გადმოვიდა რაინდულ რომანში, რომლის მხატვრულ-ესთეტიკურ ქსოვილს მეტწილად ავანტიურული მოტივი (იგივე მოგზაურობის რომანტიკა) განსაზღვრავს“ (ელბაქიძე 2010: 28).

ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს უნივერსალური მახასიათებლები, ტოპოსები, რომლებიც ზოგადჰაგიოგრაფიულ სივრცესთან არის კავშირში (Pratsch 2005). ქართული ჰაგიოგრაფია უნივერსალური ტოპოსების პარადიგმას იცავს და ნაციონალურ ელემენტებთან ერთად წარმოადგენს. განვიხილოთ რამდენიმე უნივერსალური ტოპოსი ქართული ჰაგიოგრაფიის მაგალითზე:

სენტენცია, როგორც ტოპოსი

ჰაგიოგრაფიული თხზულების დასაწყისში ხშირად გამოიყენება სენტენცია, ზოგადი სახის გამოთქმა, დამაფიქრებელი ნათქვამი, ან ანდაზა, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომელიც ერთი წინადადებისაგან შედგება. ეს სენტენცია ავტორს მოჰყავს მკითხველისაგან თანაგრძნობის, გარკვეული დადებითი დამოკიდებულების გამოსავლენად.

აღნიშნული ტოპოსის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავიმოწმოთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველ თავში მოხმობილი ცნობილი სენტენცია: „ბრძნად მეტყველება ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი – ოქროდ რჩეული“, – ვითარცა თქვა სოლომონ“.

მოკრძლების ტოპოსი

ავტორი მკითხველს უხსნის, რომ მისი ამოცანა, ან დავალება ძალზე რთულია და მისთვის შეუფერებელი. ამიტომაც მკითხველებს წინასწარ სთხოვს – ნაკლოვანებები აპატიოს. აღნიშნულ ტოპოსს მეტაფორულად „წინააღმდეგობის სიდიადე“ (Pratsch 2005) შეიძლება ეწოდოს. ჰაგიოგრაფ ავტორს გაცნობიერებული აქვს, რომ არ ძალუძს დაკისრებულ სამუშოს გაუმკლავდეს.

ავტორისეული მოკრძლების ტოპოსი ქართულ ჰაგიოგრაფიაში არაერთგან დასტურდება. იოანე საბანისძე, „აბო თბილელის მარტვილობის“ ავტორი, თხზულებისათვის დართულ სამოელ ქართლის კათალიკოსისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე; უკუეთუ ურჩ

ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვს: „უდარწსსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერწსსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებად ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობესად შევრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი და აღვემართე ღმრთის სათნოდთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძღუნის მიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა ჩემ უღირსსა ზედა და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთა-მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, ვითარმედ „ჰბაძევედ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“. ვითარცა იგი მან თვსსა უდიდწსსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულს-მოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თვსა.

მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერწსსა ჩემსა აღებად და წადიერებად გულისა ჩემისადა აღავსო უფალმან, და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვლობად, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მონამისადა მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰაბოძსითა და მოგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომლისათვს კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტწს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რათა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა უღირსებად ჩემი“.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასაწყისში აღნიშნავს: „არამედ ან მე ვინაძთგან ვერ ძალ მიც მოუკლებელად ლოცვადა და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევეანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რადმე უმჯობესად შემირაცხავს, რათა ვიტყოდი ღირსად ცხოვრებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა – ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისა და მოყვასთა და მონაფეთა მისთასა მადლითა და შეწვენითა ღმრთისადათა, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა, ჭეშმარიტად თხრობილი მონაფეთაგან და მონაფის მონაფეთაგან მის წმიდისათა. და ნეტართა მათ ოხითა ვპოვო ორკერძოვე ლხინებად უძღურებათა ჩემთა ესრეთ სიტყვათა ამათ წერითა“.

უცნობი ავტორის „კონსტანტი კახის მარტვილობა“: „მეცა არაღირსმან... აღვწერე ცხოვრებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მონამისა კონსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა“.

მრავალთაგან უმცირესი

ამ ტოპოსით აღინიშნება ჰაგიოგრაფიული ტენდენცია, რომელიც შესაძლებელია ორ კატეგორიად დაიყოს:

- მრავალ წმინდანთაგან მხოლოდ მცირედთა მონამეობა და ცხოვრებაა აღწერილი;
- მოცემულ თხზულებაში მხოლოდ ძალზე მცირე დამსახურებებია აღწერილი.

ტოპოსის საილუსტრაციოდ ქართული ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე თხზულება.

მეცხრე საუკუნის უცნობი ავტორის „კონსტანტი კახის მარტვილობაში“ ჰაგიოგრაფი აღნიშნავს: „ესე მრავლისაგან მცირედი აღინერა სამკნეთაგან წმიდისა კონსტანტისა, რათა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემწუხებელ ნაკლულევანებისა, არცა ნამეტნავ განგრძობით“.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის მონაფეების მოღვაწეობის შესახებ წერს: „ესე მცირედი ვახსენე სამთა მათ წმიდათა – თევდორედისი და ქრისტეფორედისი და საბან იშხნელისა ცხორებად, ამით, რამეთუ ფრიად განგრძობად იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერითა ჭეშმარიტად“.

„პავლე კორინთელის ცხოვრების“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „არამედ თუ ვითარი და რაბამი იყო ცხორებად მისი, არცა, თუ ბრძენთა ყოველნი ენანი ერთ-ჰყვენე, შეუძლონ წარმოთქუმა. ვინადთგან ზესთა სიტყუსა და მოგონებისა არს. ამისთჳს კნინისა ფრცხილისაგან ლომისა ძლიერებისა, ხოლო მცირადასა ფესუსაგან, ვისა ნაქსოისასა უწყებულთა, საკვრვებათაცა მისთა მრავალთაგანი მცირედი წარმოგიოხრა რად და დუმილისა ნავთსადგურად განუსუენო მახვლმცურვალეობასა სიტყუსა ნავისად“ (გაბიძაშვილი 2010: 417)¹.

ბესარიონ ორბელიშვილის მიერ შეთხზულ „რაჟდენ პირველმონამის წამებაში“ საგანგებოდ არის ხაზგასმული: საქართველოში იმდენი წმინდანი გამობრწყინდა, რომ „დამაკლებს მე ჟამი აღრიცხვად სიმრავლესა მათსა“; ზოგი მათგანი „აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა“, მაგრამ არიან ისეთნიც, „რომელნი ჩუენ არა უწყით და ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთასა“.

დასაბუთების ტოპოსი

დასაბუთების ტოპოსი არის წერის საფუძველი, წერის მიზეზი. ასეთ დროს ჰაგიოგრაფი თავს არ იმცირებს და არ ბოდიშობს თავისი მწერლური საქმიანობის გამო, არამედ არგუმენტირებულად ასაბუთებს იმ საჭიროებას, რის გამოც აუცილებელია და საჭირო მისი საქმიანობა და რატომაც იწყებს წერას. არგუმენტებს შორის შესაძლებელია დასახელებული იყოს (აღწერა და ვინაობის საწინააღმდეგოდ, ან წერა სასწავლო დანიშნულებით, ან უფროსების, ავტორიტეტების მიბაძვით, კარნახით, ხელშეწყობით, დაძალებით.

სამოელ ქართლის კათალიკოსი ავალებს იოანე საბანისძეს აბო თბილელის ღვანლისა და წამების აღწერას: „მნებავს, რადთა დაინეროს სანატრელისა ამისცა მარტვლობად, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მონამეთად, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაჯსენებულად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთჳცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი კელითა ხსართან მღდელისა ჩემისადათა.

¹ „პავლე კორინთელის ცხოვრება“ შემონახულია მხოლოდ ქართულ თარგმანში, მე-16 საუკუნის ხელნაწერში. ტექსტი შეისწავლა და გამოაქვეყნა ე. გაბიძაშვილმა. მისი აზრით, თხზულება ბერძნულ ენაზე დაწერილი უნდა ყოფილიყო მე-9 საუკუნეში. ქართულად კი უნდა ეთარგმნათ მე-12, მე-13 საუკუნეებში (გაბიძაშვილი 2010: 406-423).

ან მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვად ჩემი და ჯუარისა დაწერად ველითა ჩემითა და შეწვევითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და წმიდათა მოციქულთადათა და მონამეთადათა ველ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თვთ უწყი, და აღწერე მარტვლობად წმიდისა მონამისა ჰაბომისი და აღწერილი ჩუენ მოგვძღუანე, რადთა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის. მაღლი უფლისა იყავნ შენ ზედა. ამჴნ!“

იოანე საბანისძე „აბო თბილელის მარტვილობის“ აღწერის დასაწყისში, პირველივე თავში აღნიშნავს: „ამისთვის, საყუარელნო, ნუ გენყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რადთა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყუათა და თქუენ სმენითა, – რადთა ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენთად“.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ბოლოს მიუთითებს: „ხოლო ხანძთისა წინამძღვრისა და იოვანე – ძმისა მისისა – და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, – სამთავე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებად ესე. ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი და სრულიად წყალობა ყავნ ყოველთა მორწმუნეთათვის, რადთა გულისხმა ყონ საღმრთოდ ნიჭი ქვეყანისადაცა ზეცისასა თანა. რამეთუ ეკლესიასა შინა ერთი წიგნისმკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთათვის სწორად კმა არნ. და ეგრეთვე, უკეთუ ერთი იკურთხევენ, ანუ მრავალნი, მაკურთხეველი იგი ერთი კმა არნ. რამეთუ მოუკლებელ არიან კეთილნი იგი ქრისტედსნი ჩვენდა მომართ ღა მაღლი წმიდათა მეოხებისადა“.

დავინყების საწინააღმდეგოდ

თხრობას, როგორც დავინყების საწინააღმდეგოდ ტოპოსს, ხშირად ვხვდებით ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში. ავტორი თხრობის აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ წმინდანის ცხოვრების აღწერის გარეშე მომავალ თაობას არ ეცოდინება ეს მნიშვნელოვანი ამბავი. უპირველეს ყოვლისა, წმინდანის ცხოვრებას აქვს მაგალითის ძალა, რასაც ჰაგიოგრაფი პირდაპირ ან ქვეტექსტურად მიუთითებს. ამდენად, ის აპირებს არამარტო გმირის ხსოვნის უკვდავყოფას, მისი სახელის არდავინყებას, არამედ მის სახსენებლად, მის წარმოსაჩენად საუკეთესო დროის გამოყენებას – გმირის არსებობის მრავალმხრივმნიშვნელოვნების ხაზგასმას.

სასწავლო დანიშნულება

სასწავლო დანიშნულება, დიდაქტიკური დანიშნულება, როგორც ტოპოსი, წერის აუცილებლობიდან გამომდინარეობს, რომ თხრობა საჭირო, გამოსადეგი და მკითხველთათვის სასარგებლო საქმიანობაა. სასწავლო დანიშნულებაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ მაგალითის ძალაც.

მიმეზისი

წმინდანთა მოღვაწეობის აღწერას არა მხოლოდ სასწავლო დანიშნულება, არამედ მიმეზისის, მიბაძვის ძალაც აქვს.

გარდა აღნიშნულისა, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში გამოიყოფა ზოგადი ტოპოსი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც სპეციფიკური გამოვლინებების გარეშეა და ხშირად ვლინდება კონკრეტულ სიტუაციებში. ასევე, დამოკიდებულნი არიან სხვა ტოპოსებთან, ისევე, როგორც კონკრეტულ მეტაფორასთან (Pratsch 2005: 24).

ჰაგიოგრაფიული მოდელების, ტოპოსისა და პარადიგმების საერთო სქემატური მახასიათებლები მართლაც ურთიერთმსგავსია და ერთნაირი ნიშნების არსებობას ადასტურებს. როგორც სიუჟეტისა და პერსონაჟის ასახვის მოდელების მიხედვით ვნახეთ, ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებები სრულად იმეორებს დადგენილ მოდელებს. ამასთან, ბუნებრივია, გააჩნია ორიგინალური სახე, რამდენადაც ეს შესაძლებელია მყარი ლიტერატურული მოდელების არსებობის პირობებში.

დამონებანი:

- Aigrain R. L'hagiographie, ses sources, ses méthodes, son histoire. Paris. Bloud & Gay 1953.
- Amirkhanashvili, Ivane. „Minimalizmi, Rogorts P'raktik'uli Sach'iroeba“. *Sjani*, 18. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2017 (ამირხანაშვილი, ივანე. „მინიმალიზმი, როგორც პრაქტიკული საჭიროება“. *სჯანი*, 18. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017).
- Amirkhanashvili, Ivane. „Agiografiis St'ilis Sak'itkhebi (Teoriuli Shenishvnebi)“. *Sjani*, 18. Tbilisi: 2012 (ამირხანაშვილი, ივანე. „აგიოგრაფიის სტილის საკითხები (თეორიული შენიშვნები)“. *სჯანი*, 13. თბილისი: 2012).
- Averintsev S. “Drevnegrecheskaya Poetika i Mirovaya Literatura”. *Poetika Drevnegrecheskoy Litareturny*. Moskva:1981 (Аверинцев С. “Древнегреческая поэтика и мировая литература”. *Поэтика древнегреческой литературы*. Москва: 1981).
- Bakht'in M. M. *Literaturno-Kriticheskie Stat'i*. Moskva: 1986 (Бахтин М. М. *Литературно-критические статьи*. Москва: 1986).
- Campanhausen Hans von, Die Idee des Martyriums in der alten Kirche.. Vandenhoeck & Ruprecht, 1964
- Cross, F. L., ed. *Acts of the Martyrs*, The Oxford dictionary of the Christian church. New York: Oxford University Press, 2005.
- Delehaye Ipolit, Les légendes hagiographiques. Bruxelles, 1955.
- Dzveli Kartuli Agiografiuli Lit'erat'uris Dzeglebi*. T'. I. Tbilisi: 1964 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. თბილისი: 1964).
- Elbakidze Mak'a. “Vepkhist'y'aosnis Kronot'op'i Lliminalobis Teoriis K'ont'ekst'shi”. *K'admosi*, №2. Tbilisi: Ilias universit'et'is gamomtsemloba, 2010 (ელბაქიძე, მაკა. „ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში“. *კადმოსი*, №2. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010).
- Gabidzashvili E. *Shromebi*. T'. II. *Filologiur-T'ekst'ologiyuri Nark'vevebi*. Tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ri, 2010 (გაბიძაშვილი ე. *შრომები*, ტ. 2. *ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები*. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010).
- Galley, S. Jüdische und christliche Heilige – Ein Vergleich. *Zeitschrift Für Religions – Und Geistesgeschichte*, 57 (1), 29-47, 2005. Retrieved February 16, 2020, from www.jstor.org/stable/23898707

- Herbermann, Charles, ed. "Acts of the Martyrs". Catholic Encyclopedia. New York: Robert Appleton, 2013.
- Irmscher J., Das Schrifttum des Oriens Christianus als Bestandteil der spätantiken Literatur. *Illinois Classical Studies*, 19, 261-264, 1994. Retrieved February 16, 2020, from www.jstor.org/stable/23065438
- K'ek'elidze, K'orneli. *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. III. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1955 (კეკელიძე კორნელი. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, III. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1955).
- K'ek'elidze, K'orneli. *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. IV. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1957(a) (კეკელიძე კორნელი. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1957ა).
- K'ek'elidze, K'orneli, *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. V. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1957(b) (კეკელიძე კორნელი. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1957ბ).
- K'ek'elidze, K'orneli. *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“, 1980 (კეკელიძე კორნელი. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980).
- K'k'nadze Zurab (redakt'ori). *Religiebi Sakartveloshi*. Tbilisi: Sakartvelos sakhalkho damtsveltan arsebuli t'olerant'obis tsent'ri, Sakartvelos sakhalkho damtsvelis bibliotek'a, 2008 (კიკნაძე ზურაბ (რედაქტორი). *რელიგიები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, 2008).
- K'imeni I. K'imeni (T'ekst'ebi). Ianvris, Tebervlis, Mart'is, Ap'rilis da Maisis Tveta T'ekst'ebi. T'. I. T'bilisi: Rusetis sametsniereba ak'ademiis gamotsema, 1918 (კიმენი I. (ტექსტები). *იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები*. კიმენი. ტ. I. ტფილისი: რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამომცემა, 1918).
- K'imeni II. *Kartuli Agiograpiuli Dzegebi*. Nats'ili 1. Tbilisi: Sakartvelos ssa metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1946 (კიმენი II. *ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*. ნაწ. 1. კიმენი. ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946).
- Nahmer Dieter von der, *Die lätainische Leiligenvita: Eine Einfuerung in die lateinische Hagiographie*, Darmstadt, 1994.
- Pierer's Universal-Lexikon, Band 7. Altenburg 1859.
- Pratsch T., *Der Hagiographische Topos, Griechische Heiligenviten im mittelbyzantinischer Zeit, Millenium-Studies, zu Kultur und Geschicjte des ersten Jahrtausends n. Ch. Band 6*, Walter de Gryter Berlin New York, 2005.
- Raspe Luchia, *Jüdische Hagiographie im mittelalterlichen Aschkenas*, Mohr Siebeck Tübingen, 2006
- Rat'iani, Irma. *Kronot'opi Ant'itut'op'iur Romanshi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2005 (რატიანი ირმა. *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2005).
- Rat'iani, Irma. "Mikhail Bakht'inis Teoriuli K'ontseptisia. Dialoguri Kritika". K'r-shi: *Lit'erat'uris Teoria. XX Sauk'unis Dziritali Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobebi*. Tbilisi: 2008 (რატიანი ირმა. „მიხაილ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დიალოგიური კრიტიკა“. კრში: *ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*. თბილისი: 2008.

Nino Popiashvili
(Georgia)

For the Definition of the Typological Model of Hagiographic Work

Summary

Key words: European-Georgian literary and cultural relations; Hagiographic Literature, Georgian Hagiographic Literature; Late Antique literature; Early Medieval Literature; Literature Models.

Late Antique and Early Medieval literature includes texts created in the era of early Christianity, from which European literature arose, reflecting the historical, social, cultural, religious features of the era.

The literature of this period on the one hand is based on ancient literary tradition, and on the other hand, the paradigms and concepts of the Bible and the Gospel. However, the style of Roman legal language and investigative process, which is preserved, makes the actions rather realistic. Hence, together, they form a qualitatively new literary model, combining the heroism and tragedy of the ancient era with its religious, Christian morality, and the ideology of the Roman law and historical issues.

The law, models and paradigm of the hagiographic genre are associated with several main aspects, which arise from the peculiarities of hagiography itself, the description of the lives of saints, short, detailed, editorial types to be read and listened, the function of hagiography itself, norms, values.

Hagiography has long been viewed from the perspective of history and source study. Its philological studies have been started since the 18th century. Hagiography is considered a kind of literary universal, which implies that the hagiographic genre is common to various national literatures that have Christian writing.

The study of hagiographic literature is important in the context of early European literature research. However, it is important to note that Georgian literature was actively involved, knew, shared and relied on the late Antique and early medieval literary processes going on in Europe. In this respect noteworthy are the translations of late Antique and early medieval literary texts, which are not retained in the original, Latin or Greek languages, and thus Georgian translations of these texts serve as a source. At the same time early Georgian literature creates important literary-typological features, including genre-based characteristics, literary models, and cultural paradigms.

Georgian hagiography is very rich, and hagiological studies show that many genres can be singled out within it. Christianity, which creates the tradition of the martyr and witness by witnessing, compassion and joint participation of the martyrdom of Christ, is one of the main creators and authors of the hagiographic genre.

The main method of depicting hagiography as a writing of literary genre is typology as a form of thinking, in which archetypal models of imitation and depiction are combined. Consequently, the signs characteristic of the hagiographic genre are entirely associated,

on the one hand, with the life and martyrdom of Christ and his disciples, and on the other, with the ancient Christians' life and martyrdom, interpretation and extension.

The law, models and paradigm of the hagiographic genre are associated with several main aspects, which arise from the peculiarities of hagiography itself, the description of the lives of saints, short, detailed, editorial types to be read and listened, the function of hagiography itself, norms, values.

Observations of hagiographic works show that, like the genre itself, the model of character depiction differs depending on the short and extensive editions.

As for the peculiarities of the character depiction, particular mention should be made of the brief model of the first period processed in the "Martyrological Acts", in the Georgian hagiological terminology, in kimenic editions, in which the following peculiarities are highlighted:

1. Baptism (a pagan character is baptized);
2. After a certain time has passed, the baptized hero is required to return to "faith by nature", i.e. renounce the new faith;
3. The main character refuses to change his faith, which becomes the basis for new confrontations;
4. Performing miracles;
5. The main character is threatened with terrible torture, but the character shows amazing inner peace, resilience;
6. The main character, which has an unbreakable faith, gladly obeys when he is taken to the death penalty.

In addition to eyewitness records, early Christian Martyrological acts, from a literary point of view, represent a general scheme and consist of common symbols; including, in connection with the peculiarities of the character depiction. It is here that the result of the development of a compositional framework characteristic of hagiographic literature, which has become typical for hagiography, is read.

The Marchvilological collections of the short story genre preserve the style of recording Roman legal and investigative processes. In most cases, the development of the action is extremely realistic, and that is why the use of the hagiographic text as a historical source is considered quite correct. The texts necessarily point to historical dates, names of historical persons, governors, kings, regional rulers, years of reign or rule, etc. In some cases, certain dates, names of places or names of historical persons become controversial when compared with other sources, although the very fact, pattern, specification of time and place are one of the main characteristics of the hagiographic genre. At the same time, the early Martyrological writings note the paradigms and concepts of the Bible and the Gospel.

Georgian hagiography defends the paradigm of universal topoi and presents them together with national elements. Let's consider several universal topoi using the example of Georgian hagiography:

Sententia as a Topos

At the beginning of a hagiographic writing, a sententia is often used, a general statement, thought-provoking saying or proverb, universally acknowledged truth consisting

of one sentence. This sententia is given by the author to demonstrate compassion and a certain positive attitude from a reader.

Topos of Reverence

The author explains to the reader that his task, or mission, is very difficult and inappropriate for him. Therefore, he asks readers in advance - to forgive the weak points.

The Fewest of Many

This topos marks a hagiographic trend, which can be divided into two categories:

- Of the many saints, only the martyrdom and life of a few are described;
- Only very few merits are described in this writing.

Topos of Substantiation

The topos of substantiation is the basis of writing, the reason for writing. At such moments, the hagiographer does not abase himself and does not apologize for his literary activity, but reasonably substantiates the necessity because of which his work is necessary and needed, and why he begins to write. Among the arguments can be cited writing (description) against oblivion or writing for educational purposes, or with imitation, under dictation, with promotion, coercion of superiors, authorities.

Against Oblivion

Narrative as topos against oblivion is often found in hagiographic texts. The author justifies the need for narration by the fact that without describing the life of the saint, the future generation would not have learned this important story. First of all, the life of a saint has the power of example, to which the hagiographer points directly or subtextually. Thus, he intends not only to immortalize the memory of the hero, not to forget his name, but also to use the best time to remember him, to single out him - to stress the multifaceted significance of the hero's existence.

Educational Purpose

Educational purpose, didactic purpose as a topos, derives from the need for writing, that narration is a necessary, appropriate and useful activity for the readers. The power of example can also be considered under the educational purpose.

Mimesis

The description of the activities of the saints has not only an educational purpose, but also the power of mimesis, imitation.

In addition to the above-mentioned, a common topos is distinguished in hagiographic works, which bring together different forms that do not have specific manifestations and are often found in specific situations.

The general schematic characteristics of hagiographic models, topoi and paradigms are really similar to each other and confirm the existence of the same signs. As we have seen, according to the models for depicting the plot and characters, Georgian hagiographic works repeat and develop the well-established models. At the same time, of course, they have an original form, as far as possible in the presence of stable literary models.

The purpose of this paper is to identify and compare European late Antique and early medieval literary models with examples from Georgian literature. The research is based on modern European methodologies and theories.